ნესტორ მახნო - ბრძოლა სახელმწიფოს წინააღმდეგ და სხვა ესეები

წინამდებარე ტექსტი შეიცავს ქართულად თარგმნილ 8 ესეს უკრაინელი ანარქო-კომუნისტისა და პარტიზანის, ნესტორ მახნოს დაწერილი ესეების (18) კრებულიდან, რომელიც ეხება მის გამოცდილებას რევოლუციაში და აგრეთვე ორგანიზაციულ საკითხებს. სრული ანთოლოგია ინგლისურად გამოსცა AK პრესმა 1996 წელს ალექსანდრე სკირდას რედაქტორობითა და მისი საინტერესო ბოლოსიტყვაობით.

ანარქისტული ბიბლიოთეკა www.a-library.org

1. დიდი ოქტომბერ უკრაინაში

2. On the 10th Anniversary of the Makhnovist Insurgent Movement in the Ukraine

3. რევოლუციის დაცვის შესახებ

4. რამდენიმე სიტყვა უკრაინის ეროვნულ საკითხზე

5. ყველა მხარის ებრაელს

6. The Makhnovshchina and Anti-Semitism

7. კრონშტადის აჯანყების სამახსოვროდ

8. The Idea of Equality and The Bolsheviks

9. The Paths of "Proletarian" Power

10. "Soviet" Power - Its Present and Its Future

11. ბრძოლა სახელმწიფოს წინააღმდეგ

12. პირველი მაისი: ახალი ეპოქის სიმბოლო მშრომელების ცხოვრებასა და ბრძოლაში

13. Anarchism and Our Times

14. Our Organisation

15. რევოლუციური დისციპლინის შესახებ

16. The ABC of the Revolutionary Anarchist

17. Open Letter to the Spanish Anarchists

18. On the History of the Spanish Revolution 1931 - and the Part played by the Left and Right-Wing Socialists and the Anarchists

Bibliographical Afterword [on Makhno] by Alexandre Skirda

1. დიდი ოქტომბერი უკრაინაში

1917 წლის ნოემბერი რუსეთის რევოლუციის გარდამტეხი ეტაპია. ის მოიცავდა ქალაქისა და სოფლის მშრომელთა აღზევებას მართვის ძალაუფლების მოსაპოვებლად საკუთარ ცხოვრებაზე, სოციალურ და ეკონომიკურ მემკვიდრეობაზე - მიწის დამუშავებაზე, ქარხნებზე, მაღაროებზე, ტრანსპორტზე და რა თქმა უნდა განათლებაზე, რომელიც დღემდე ჩვენი წინაპრებისთვის ამ ყველაფრის წასართმევად გამოიყენებოდა.

თუმცა, როგორც ვხვდებით, რუსეთის რევოლუციის მთელი მნიშნელობის ოქტომბერში მოქცევა - ჭეშმარიტებას აცდენილი იქნებოდა. რეალურად, რუსეთის რევოლუცია ოქტომბრის წინა თვეებში მომწიფდა - როცა გლეხებმა სოფლებში და მუშებმა ქალაქებში საბოლოოდ ჩაწვდნენ ვითარების არსს. 1917 წლის თებერვალი მშრომელთათვის ნამდვილად მათი ეკონომიკური და პოლიტიკური განთავისუფლების სიმბოლოდ იქცა. მიუხედავად ამისა, მათ მალევე შეამჩნიეს რომ რევოლუცია ლიბერალური ბურჟუაზიის დამახასიათებელი ფორმატის მიღებით გაგრძელდა და, როგორც ასეთმა, დაამტკიცა მისი უძლურება გაჰყოლოდა საზოგადოებრივი მოქმედების გზას. ამის შედეგად, მშრომელებმა მყისიერად მოიცილეს თებერვლის მიერ თავს მოხვეული შეზღუდვები და ღიად გაწყვიტეს კავშირი მის ყველა ფსევდო-რევოლუციურ ასპექტთან და მიზანთან.

უკრაინაში, ამ მოქმედებებში ორი მხარე იყო ჩართული. ამ დროისთვის, ქალაქის პროლეტარიატი, ერთმხრივ მათზე ანარქისტთა გავლენის სიმწირის, მეორე მხრივ კი რეალური პოლიტიკური კურსისა და საქვეყნო პრობლემების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის გამო, მიიჩნევდა რომ ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლა რევოლუციური ომის წარმოებისთვის, მემარჯვენა სოციალ-რევოლუციონერთა[1] და ბურჟუაზიის კოალიციის გასაძევებლად უდიდეს აუცილებლობას წარმოადგენდა,

ამავე დროს, ქალაქგარეთ, და განსაკუთრებით უკრაინის ზაპოროჟიის მხარეში, სადაც ავტოკრატიამ ვერასდროს შეძლო თავისუფლების სულისკვეთების ამოძირკვა, რევოლუციურმა გლეხობამ, რომელიც უკვე დარწმუნებული იყო ამ საშუალებით სოციალისტ-ბურჟუაზული კოალიციის მარცხის დაჩქარებაში, პირველად მოვალეობად და უმნიშვნელოვანეს მიზნად კულაკების და პომეშჩიკების განსადევნად პირდაპირი რევოლუციური მოქმედებების წარმოება დაისახა.

სწორედ ამიტომ, უკრაინელი გლეხები იერიშზე გადავიდნენ ბურჟუაზიის იარაღის ხელში ჩაგდებით (კერძოდ პუტჩისტი გენერალ კორნილოვის მარშისას პეტროგრადისკენ, 1917 წლის აგვსტოში) და შემდგომ მსხვილი მიწათმფლობელთათვის - კულაკებისათვის წლიური მიწის გადასახადის ჩაბარებაზე უარის თქმით. (კოალიციის წარმომადგენლები ეცადნენ მიწა გლეხებისგან ძალით მიეღოთ, მესაკუთრეთათვის მათ შესანარჩუნებლად, მთავრობს გამოცხადებულ სტატუს ქუოს დაცვის საბაბით - დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებამდე)

გლეხებმა ხელში ჩაიგდეს პომეშჩიკების, კულაკების, ეკლესიისა და სახელმწიფოს ქონება, ამავე დროს ისინი აარსებდნენ ადგილობრივ კომიტეტებს სოფლებთან და კომუნებთან ქონების გასაზიარებლად.

ინსტიქტურმა ანარქიზმმა ცხადყო უკრაინელ გლეხთა გეგმები და სურვილები - ისინი ღიად გამოხატავდნენ სახელმწიფო ავტორიტეტის ზიზღს - გრძნობას, რომელსაც თან საკუთარი თავის განთავისუფლების აშკარა სურვილი ახლდა. ეს უკანასკნელი კი გლეხებში განსაკუთრებით ძლიერია. იგი საკუთარი არსით პირველ რიგში მოიაზრებდა

1მოკლედ მემარჯვენე ესერები - ნაროდნიკობაზე დაფუძნებული სოციალისტური პარტიის - „სოციალ-რევოლუციონერთა პარტიის“ ერთ-ერთი დასახელება, რომელიც მათ პარტიიდან გამოყოფილმა რადიკალ-მემარცხენეთა (მემარცხენე ესერთა) ჯგუფმა უწოდა.

ბურჟუაზიის ავტორიტეტის წარმომადგენლების - ხელისუფლების დანიშნული ჟანდარმების, მაგისტრატების თავიდან მოშორებას, რისი პრაქტიკული განხორციელებაც უკრაინის ბევრ რეგიონში მოხერხდა. მრავლად მოიპოვება მაგალითები, თუ როგორ განდევნეს გლეხებმა ჟანდარმები ეკატერინოსლავის, ხერსონის, პოლტავის, ხარკოვის და ტავრიპოლის პროვინციების სოფლებიდან, ან თუნდაც როგორ ჩამოართვეს მას გლეხთა კომიტეტის თუ სოფლის კრების თანხმობის გარეშე საქმიანობის უფლება. ჟანდარმები უბრალოდ მათი ნების აღმსრულებლებად იქცნენ. მალევე მაგისტრატების როლიც უბრალო ხელობამდე შემცირდა.

სოფლის კრებაზე და შეხვედრებზე თვით გლეხებს გამოჰქონდათ განაჩენი ყველანაირი დანაშაულისთვის თუ დავისთვის, ისინი უარყოფნდნენ ხელისუფლების მაგისტრატების ყველანაირ იურისდიქციულ უფლებას. მოხელეები ხშირად იძულებულებიც ხდებოდნენ დასახლებები სამუდამოდ დაეტოვებინათ ან გადამალულიყვნენ.

ასეთმა მიდგომამ გლეხების ინდივიდუალურ და საზოგადო უფლებებთან ბუნებრივად საშუალება მისცა მათ აღარ შეშინებოდათ - „მთელი ძალა საბჭოებს“ - სლოგანის სახელმწიფო ძალაუფლებად გარდაქმნის. ეს შიში ნაკლებად იყო გამოკვეთილი ქალაქის პროლეტარიატში, რომელიც სოციალ-დემოკრატების და ბოლშევიკების გავლენის ქვეშ უფრო იმყოფებოდა.

გლეხებისთვის, ადგილობრივ საბჭოთა ძალაუფლება ნიშნავდა ამ ორგანოთა გარდაქმნას ავტონომიურ ტერიტორიულ ერთეულებად, რევოლუციური ასოციაციის და მშრომელთა სოციალ-ეკონომიკური თვითმმართველობის საფუძველზე ახალი საზოგადოების შენების პროცესში. სლოგანის ასეთი გაგებით, გლეხებმა ის საკუთარი პირდაპირი მნიშვნელობით განახორციელეს, განავრცეს და დაიცვეს მემარჯვენე სოციალ-რევოლუციონერებისგან, კადეტებისგან (ლიბერალები) და მონარქისტი კონტრ-რევოლუციონერებისგან.

შესაბამისად, ოქტომბერი არ დაწყებულიყო, რომ გლეხებმა სხვადასხვა რეგიონებში მოვლენებს გაუსწრეს პომეშჩიკებისთვის და კულაკებსთვის ქირის გადახდაზე უარის თქმით, მათი მიწების და საქონლის კოლექტიურ საკუთრებად ქცევით, ქალაქის პროლეტარიატთან წარმომადგენლების წარგზავნთ ქარხნების მოპოვების საკითხზე შესათანხმებლად, ძმური კავშირის დამყარების და ახალი, მშრომელთა თავისუფალი საზოგადოების ერთიანი მშენებლობის მიზნით.

ამ დროისთვის, „დიდი ოქტმობრის“ იდეების პრაქტიკულ განხორციელებას მხარსაც არ უჭერდნენ ისინი, ვინც შემდეგ მათზე ხელს მოაწერდა - ბოლშევიკები და მემარცხენე სოციალ-რევოლუციონერები - მათი ჯგუფები, ორგანიზაციები და ცენტრალური კომიტეტები ხისტად აკრიტიკებდნენ კიდეც მას. მეორემხრივ, უკრაინელი გლეხებისთვის, დიდი ოქტომბერი, და განსაკუთრებთ ის სტატუსი რომელიც მას მიენიჭა პოლიტიკულ ქრონოლოგიაში, იმ ეტაპს წარმოადგენდა რომელსაც ისინი უკვე დიდი ხანი იყო გამცდარიყვნენ.

ოქტომბრის მოვლენების განვითარებისას, პეტროგრადის, მოსკოვის და სხვა ქალაქების პროლეტარიატმა, ისევე როგორც ქალაქების მახლობლად მცხოვრებმა გლეხობამ და ჯარისკაცებმა ანარქისტების, ბოლშევიკების და მემარცხენე სრ-ების ზეგავლენით, მარტოოდენ მოაწესრიგეს და ბევრად უფრო ზუსტი პოლიტიკურ გამოხატულება მიანიჭა იმას, რისთვისაც რევოლუციური გლეხობა უკრაინის მრავალი მხარიდან აქტიურად იბრძოდა ჯერ კიდევ 1917 წლის აგვისტოდან, და ესეც ბევრად უკეთეს პირობებში - ქალაქის პროლეტარიატის მხარდაჭერით.

ოქტომბრის პროლეტარული ინტერპრეტაციის გამოძახილმა უკრაინამდე თვენახევრის შემდეგ მოაღწია. მისი განზრახვა თავიდანვე ცხადი იყო, თავდაპირველად - საბჭოთა და

პარტიათა დელეგატებისგან, შემდეგ კი - სახალხო კომისართა დეკრეტებისგან, ამ გადაწყვეტილებებთან არანაირი კავშირის მქონე უკრაინის გლეხობა თავიდანვე უნდობლად იყო განწყობილი მათ მიმართ.

სწორედ ამის შემდეგ გამოჩნდნენ უკრაინაში ძირითადად რუსეთიდან წამოსული წითელი გვარდიის ნაწილები, რომლებიც თავს ესხმოდნენ უკრაინის ცენტრალური რადის კოზაკების მიერ კონტროლირებულ ქალაქებს და კავშირგაბმულობის ცენტრებს. ეს უკანასკნელი შოვინიზმს იმდენად დაებრმავებინა, რომ ვერც კი წარმოიდგენდა თუ როგორ შეიძლებოდა მშრომელთა მასები მათ თანამოძმეებს რუსეთიდან დაკავშირებოდნენ, შეუძლებლად მიაჩნდა დაეფასებინა მშრომელთა რევოლუციური სული, რომელიც მზად იყო საკუთარი სოციალური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისთვის ებრძოლა.

მის მეათე წლისთავზე, დიდი ოქტომბრის ამ ანალაზით, ჩვენ გვინდა ხაზი გავუსვათ ჩვენი გვიანი 1917 წლის მიღწევების სრულ შესაბამისობას პეტროგრადის, მოსკოვის თუ სხვა დიდი რუსული ქალაქების მკვიდრი რევოლუციონერ მშრომელთა მოქმედებებთან.

ოქტომბრამდე ბევრად ადრე უკრაინის გლეხობის მიერ გამოვლენილი რევოლუციური რწმენის და ენთუზიაზმის აღნიშვნასთან ერთად, ჩვენ პატივის ვცემთ და სრულებით სამაგალითოდ მივიჩნევთ რუსი მუშების, გლეხების და ჯარისკაცების მიზანმიმართულობას და სიმხნევეს ოქტომბრის მოვლენებისას.

წარსულის განხილვისას, უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ მასთან ასე თუ ისე დაკავშირებულ აწმყოს. ასევე ჩვენ მხოლოდ ღრმა მწუხარებას გამოვხატავთ ოქტომბერში სრულად გამოხატული იდეების 10 წლის შემდეგაც აბუჩად აგდებასთან დაკავშირებით, იმავე ხალხის მიერ რომელიც რუსეთს დღემდე ამ იდეების სახელით მართავს.

ჩვენ გამოვხატავთ სევდიან სოლიდარობას ყველას მიმართ ვინც ოქტომბრის ტრიუმფისთვს იბრძოდა და ახლა ციხეში ან საკონცენტრაციო ბანაკში ლპება. ამბებმა, მათი ტანჯვის შესახებ წამებაში და შიმშილში, ჩვენამდე მოაღწია და ოქტომბრის წლისთავზე ჩვეული სიხარულის მაგივრად - უსაზღვრო სევდა გვაგრძნობინა.

რაც შეეხება რევოლუციურ მოვალეობას, ჩვენ კიდევ ერთხელ ვიმაღლებთ ხმას სსრკ-ს საზღვარზე :

„მიეცით ოქტმობრის შვილებს მათი თავისუფლება, დაუბრუნეთ მათ ორგანიზების და მათი იდეების გავრცელების უფლება!“

თავისუფლების და მშრომელთა და რევოლუციონერთა უფლებების არარსებობით, რასაც სსრკ ასე წარმატებულად უწყობს ხელს - მისი მტრები კმაყოფილდებიან და მთელ მსოფლიოში რევოლუციის, და მასთან ერთად სსრკ-ს, ამოძირკვისთვის ემზადებიან.

3. რევოლუციის დაცვის შესახებ

იმ დებატთან დაკავშირებით, რომელიც ჩვენ მრავალ ამხანაგს შორის მიმდინარეობდა რუსი ანარქისტების მიერ გამოქვეყნებულ „ანარქისტთა საჯარო კავშირის პოლიტიკური პლატფორმის/პროგრამის“ შესახებ, რამდენიმე ჯგუფმა კონკრეტულად რევოლუციის თავდაცვის საკითხისთვის მიძღვნილი ნაშრომის გამოქვეყნება მთხოვა. ამ დავალებას ბეჯითად შევუდგები, თუმცა მანამდე, უნდა ავღნიშნო რომ ეს პოლიტიკური პლატფორმის ცენტრალურ პრობლემას არ წარმოადგენს - უმთავრესი, ამ შემთხვევაში, ლიბერტარიანულ კომუნისტურ რიგებში მდგრადი ერთიანობის მიღწევაა. ეს ნაწილი მხოლოდ განხორციელებამდე გაუმჯობესებას და სრულყოფას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ჩვენი ძალების მოწესრიგებას არ ვეცდებით, მოძრაობა უძლური იქნება ჩვენს წრეს მოდებული ლიბერალების და ოპორტუნისტების, თუ არა პირდაპირი სპეკულატორების და პოლიტიკური ავანტიურისტების გავლენის წინაშე, რომლებსაც არაფერი შეუძლიათ ყბედობის გარდა, მათ არ შეუძლიათ იბრძოლონ ჩვენი დიდი მიზნების მისაღწევად. ეს უკანასკნელი, მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ გვერდით მხოლოდ იმათ დავიყენებთ, რომელთაც ჩვენი ბრძოლის სამართლიანობის ინსტიქტურად სჯერათ და ახალი ცხოვრების, ახალი საზოგადოებს შესაქმნელად - რევოლუციით მაქსიმალური შესაძლებელი თავისუფლების და დამოუკიდებლობის მიღწევა სურთ, რათა პიროვნებამ საბოლოოდ დაუბრკოლებლად შეძლოს კრეატიული სწრაფვის დაკმაყოფილება, საერთო სიკეთისთვის.

რაც შეეხება კონკრეტულად რევოლუციის დაცვის საკითხს, მე ჩემს უშუალო გამოცდილებას დავეყრდნობი, რომელიც რუსეთის რევოლუციისას უკრაინელ მშრომელთა მიერ წარმოებულ უთანასწორო მაგრამ გადამწყვეტ ბრძოლაში მივიღე. ამ გამოცდილებამ პირველ რიგში მასწავლა, რომ რევოლუციის დაცვა გადაჯაჭვულია მის იერიშთან კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, მეორე - მის გავრცელებაზე და სიმძლავრეზე უმთავრეს გავლენას კონტრრევოლუციონერთა წინააღმდეგობა ახდენს, მესამე - რევოლუციური მოქმედებები პირდაპირაა დამოკიდებული პოლიტიკურ შინაარსზე, რევოლუციურ ქვედანაყოფების მიერ ათვისებულ სტრუქტურულ და ორგანიზაციულ მეთოდებზე, რომლებითაც ისინი სტანდარტულ, კონტრრევოლუციურ არმიებს დიდ ფრონტზე უნდა დაუპირისპირდნენ.

რუსულმა რევოლუციამ, საკუთარ მტრებთან ბრძოლა, თავდაპირველად ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული წითელი გვარდიის[2] დანაყოფებით დაწყო. თუმცა, მალევე ცხადი გახდა მათი არაეფექტურობა მოწინააღმდეგის, კერძოდ გერმანული, ავსტრია-უნგრული ექსპედიციური ძალების წინააღმდეგ, მარტივი მიზეზის - ოპერაციული ნორმების არარსებობის გამო.

სწორედ ამიტომ, 1918 წლის გაზაფხულზე ბოლშევიკებმა წითელი არმიის ორგანიზებით დაწყეს. სწორედ ამ დროს მოვუწოდეთ უკრაინელ მშრომელებს „თავისუფალი ბატალიონების“ ჩამოყალიბებისკენ. მალევე გამომჟღავნდა ასეთი ორგანიზაციის უძლურება შიდა პროვოკაციების წინაშე, ვინაიდან შესაბამისი პოლიტიკური თუ სოციალური ზედამხედველობის გარეშე, იგი მოხალისეებს მხოლოდ იმ პირობით იღებდა რომ მათ იარაღის ხელში დაჭერა და ბრძოლა სურდათ.

---

2 აღსანიშნავია რომ მსგავს ადგილობრივად ორგანიზებულ დანაყოფებს ანარქისტებიც იყენებდნენ - „შავი გვარდიის“ სახელით.

ამიტომაა რომ ამ ორგანიზაციული ფორმს მიერ ჩამოყალებული შეიარაღებული ნაწილები მტრებს ვერაგულად ხვდებოდა, რაც ხელს უშლიდა მათ კონტრ-რევოლუციასთან ბრძოლაში საკუთარი ისტორიული მისიის დანახვაში.

მიუხედავად ამისა, „თავისუფალი ბატალიონების“ - რომლებიც რევოლუციის თავდაცვის პირველ ხაზად შეიძლება ჩაითვალონ - ორგანიზაციის თავდაპირველი ჩავარდნის შემდეგ არ დავბნეულვართ. ორგანიზაცია საკუთარი ფორმატით ასე თუ ისე გადაკეთდა - ბატალიონები დაკომპლექტდნენ მსუბუქი, შერეული ტიპის, ქვეითი და საკავალერიო პარტიზანული ქვედანაყოფებით, რომელთა დავალებაც მტრის ზურგს უკან მოქმედება იყო. ასეთი ორგანიზაციის პრაქტიკულობა დამტკიცდა ჰეტმან სკოროპადსკის, მათი მოკავშირის, განკარგულებაში მყოფი ავსტრო-გერმანული ექსპედიციური ძალების წინააღმდეგ წარმოებულ ოპერაციებში, 1918 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე.

რევოლუციის თავდაცვის ამ ფორმის წყალობით, უკრაინელმა მშრომელებმა შეძლეს კონტრ-რევოლუციისგან გამოეტაცათ ყულფი, რომელიც ამ უკანასკნელს რევოლუციაზე შემოეჭირა. მეტიც, მისი დაცვით დაუკმაყოფილებლები, რევოლუციის გავრცობის გზას, რამდენადაც შეეძლოთ, ბოლომდე მიყვებოდნენ.[3]

ქვეყანაში გავრცელებული შიდა კონტრ-რევოლუცია სხვადასხვა ქვეყნებისგან დახმარებას იღებდა არა მარტო შეიარაღების, არამედ ჯარისკაცების სახითაც. მიუხედავად ამისა, ჩვენმა თავდაცვითმა ორგანიზაციამ განაგრძო ზრდა მასშტაბებში და ამავე დროს, საჭიროებისამებრ, აითვისა ახალი ფორმატი და ბევრად უფრო შესაბამისი საბრძოლო მეთოდები. როგორც ყველასათვის ცნობლია, ყველაზე სახიფათო კონტრ-რევოლუციურ ფრონტს გენერალი დენიკინი ხელმძღვანელობდა, თუმცა აჯანყებულთა მოძრაობამ მისი 5-დან 6 თვემდე შეჩერება მოახერხა. დენიკინის ბევრ ხელქვეითს გეგმები იმ შენაერთებმა ჩაუშალეს, რომლებსაც არაფერი გააჩნდათ მტრისთვის წართმეული შეიარაღების გარდა. ჩვენმა ორგანიზაციამ ამაში დიდი წვლილი შეიტანა : ქვედანაყოფთა თვითმყოფადობის ხელყოფის გარეშე, ისინი რეორგანიზდნენ საერთო ოპერაციული შტაბის მიერ კოორდინირებულ პოლკებსა და ბრიგადებში. უნდა ითქვას, რომ ეს შესაძლებელ გახდა მხოლოდ მშრომელთა რევოლუციურ მასების დამსახურებით, რომლებმაც ერთიანი სამხედრო ხელმძღვანელობის აუცილებლობა გააცნობიერეს. ამავე დროს, ისევ გულაიპოლეს ლიბერტარიანელ კომუნისტთა ჯგუფის გავლენის ქვეშ მყოფი მშრომელები აცნობიერებდნენ რომ თითოეულ პიროვნებას ახალი საზოგადოების

---

3 [ავტორის] შენიშვნა - ამ დროისთვის, ბოლშევიკებს უკრაინაში საბრძოლო ნაწილები არ ჰყავდათ. მათი ქვედანაყოფები რუსეთიდან ბევრად გვიან გამოჩნდნენ და ჩვენი პარალელურ ფრონტი დაიკავეს, როგორც ჩანს უკრაინელ მშრომელებთან გაერთიანების მიზნით, რომლებიც ავტონომურად და რაც მთავარია მათი სახელმწიფო ზედამხედველობის გარეშე იყვნენ ორგანიზებულები. თუმცა, რეალურად მათ არაპირდაპირად დაიწყეს მუშაობა საკუთარი სარგებლისთვის უკრაინული მოძრაობის გასანადგურებლად. ამ მიზნის მისაღწევად ისინი უკან არაფერზე არ იხევდნენ, იმდენად შორს მიდიოდნენ, რომ იმ მხარდაჭერის საბოტაჟსაც არ მოერიდნენ, რომელსაც თვითონვე დაგვპირდნენ ტყვიების და ჭურვების სახით, სწორედ მაშინ როცა ჩვენ მთელ ფრონტზე მასიურ თავდასხმას ვაწარმოებდით, რომლის წარმატებაც ჩვენს არტილერიაზე და ტყვიამფრქვევებზე იყო დამოკიდებული, მაშინაც კი როცა ტყვია-წამლის ნაკლებობას ისედაც განვიცდიდით. [ოპერაცია წარმატებულად დასრულდა]

შენების ნებისმიერ სფეროში, თუნდაც მისი მონაპოვრის თავდაცვაში, მონაწილეობის მიღების თანაბარი უფლება ჰქონდა.

ამგვარად, როცა დენიკინის ფრონტი ემუქრებოდა ლიბერტარიანული რევოლუციის არსებობას, რომელსაც მოსახლეობა ინტერესით უყურებდა, რევოლუციონერი მუშები რევოლუციის თავდაცვის საერთო რწმენის გარშემო გაერთიანდნენ და აჯანყებულთა არმია ახალ მებრძოლთა რეგულარული ნაკადით გააძლიერეს, დაჭრილთა და გამოფიტულთა ჩასანაცვლებლად.

სხვაგვარად, ომის პრაქტიკულმა მოთხოვნილებებმა ჩვენი მოძრაობა ვალდებული გახადა ყველა საბრძოლო ნაწილის ზედამხედველობისთვის შეექმნა ოპერაციული და ორგანიზაციული შტაბი. სწორედ ამ პრაქტიკის გამო არ შემიძლია დავეთანხმო ანარქისტთა ნაწილის შეხედულებას, რომ რევოლუციონერებმა უარი უნდა თქვან შეიარაღებული რევოლუციური ბრძოლის სტრატეგიული მეთვალყურეობისთვის ჩამოყალიბებულ შტაბზე. დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერი ანარქისტი იმ პირობებში, რომლებშიც სამოქალაქო ომისას ავღმოჩნდი, აუცილებლობიდან გამომდინარე, ჩვენნაირად იმოქმედებდა. თუ, მომავალი სოციალური რევოლუციისას, იარსებებენ ანარქისტები, რომლებიც ამ ორგანიზაციულ პრინციპებს უარყოფენ, ჩვენს მოძრაობაში მხოლოდ უსაქმურები და ყბედები, მავნე ნაწილაკები გვეყოლება, მსგავსებს კი თავიდან მალევე მოიცილებენ.

რაც შეეხება საკითხის დასკვნას, ანარქისტებმა მუდამ უნდა გაითვალისწინონ ლიბერტარიანული კომუნიზმის სოციალური ხასიათი. მასიური რევოლუციური მოძრაობის გაჩენისას, უნდა გავაცნობიეროთ მისი ორგანიზების მნიშვნელობა და რევოლუცია მისთვის შესაბამისი საშუალებებით ავღჭურვოთ, რის შემდეგაც მთელი მონდომებით უნდა შევუერთდეთ მას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მეოცნებეებად და უტოპისტებად გამოვჩნდებით, მაშინ მშრომელთა ბრძოლას, კერძოდ სახელმწიფო სოციალისტთა მიმდევრებს, წინ აღარ უნდა გადავუდგეთ. ცხადია, ანარქიზმი არის და რჩება რევოლუციურ სოციალურ მოძრაობად, სწორედ ამიტომ ვუჭერ მხარს მისთვის კარგად გამოკვეთილი ორგანიზაციის შექმნას და რევოლუციისას, იმ ბატალიონების, პოლკების, ბრიგადების და დივიზიების ჩამოყალიბებას, რომლებსაც დროის კონკრეტულ მონაკვეთში, ერთიან არმიად გადაქცევა შეეძლებათ, ერთიანი რეგიონალური ხელმძღვანელობით, რომელიც სამეთვალყურეო ორგანიზაციული შტაბის ფორმას მიიღებს. ამ უკანასკნელის დავალება იქნება ბრძოლის საჭროებებისა და პირობების მიხედვით, ფედერაციული ოპერაციების დაგეგმვა, რეგიონალური არმიების კოორდინირება, შეიარაღებული რევოლუციის წინააღმდეგ შექმნილ ყველა ფრონტზე წარმატებული შედეგის მისაღებად.

რევოლუციის დაცვა ადვილი საქმე არ არის, მას რევოლუციური მასებისგან შეიძლება საკმაოდ დიდი ორგანიზაციული მონდომება დასჭირდეს. ანარქისტებმა ეს უნდა გააცნობიერონ და მუდამ მზად იყვნენ ამ მიზნის მიღწევაში მათ დასახმარებლად.

4. რამდენიმე სიტყვა უკრაინის ეროვნულ საკითხზე

[Дело Труда; ნო.19; დეკემბერი 1928]

1917 წლის რევოლუციისას ცარისტული დესპოტიზმის დამხობას შრომის მსოფლიოს ჰორიზონტზე, ხალხთა შორის ახალი, თავისუფალი ურთიერთობების საწყისები გამოჩნდა. შესაბამისად სრული თვითგამორკვევის იდეა, რომელიც რუსული სახელმწიფოსგან სრულ გამოყოფასაც მოიაზრებდა, ხალხში ბუნებრივად აღმოცენდა. უკრაინის მოსახლეობაში გაჩნდა ყველანაირი ჯურის ათობით ჯგუფი, რომელთაგანაც თითოეულს საკუთარი ხედვა გააჩნდა და თვითგამორკვევის იდეასაც ფრაქციული ინტერესის შესაბამისად წარმოაჩენდა. თუმცა საბოლოოდ, უკრაინის მშრომელთა მასები ამ ჯგუფებს არ დაუკავშირდნენ და არ შეუერთდნენ.

მას შემდეგ შვიდ წელიწადზე მეტმა განვლო, და უკრაინელ მშრომელთა ხედვა თვით-გამორკვევის იდეებთან დაკავშირებით განვითარდა და მათი გაგებაც - გაიზარდა. ახლა მათ საკუთარი თავი დაუკავშირეს მას, რაც საკუთარ ყოველდღიურობაშიც გამოხატეს. ამგვარად, მაგალითისთვის, მათ გამოაცხადეს უფლება საკუთარ ენაზე და საკუთარ კულტურაზე - რაც რევოლუციამდე ანათემად მიიჩნეოდა. მათ ასევე გამოაცხადეს უფლება წარემართათ საკუთარი ცხოვრება საკუთარი გზით და საკუთარი ტრადიციებით. დამოუკიდებელი უკრაინული სახელმწიფოს შენების მიზნით, კონკრეტული ეტატისტი ბატონები დიდი სიამოვნებით მიისაკუთრებდნენ უკრაინული რეალობის ყველანაირ გამოხატულებას, რომლის წინააღმდეგაც ბოლშევიკები, სხვათა შორის, უძლურები არიან, მათი ყოვლისშემძლეობის მიუხედავად. თუმცა, ეს ეტატისტი ბატონები როგორც ჩანს ვერ ახერხებენ მასების აყოლებას, მჩაგვრელი ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ მათ ამ სახით მობილიზებას რომ თავი გავანებოთ. უკრაინელ მშრომელთა ჯანსაღი ინსტიქტები და მათი მძიმე ცხოვრება ბოლშევიკების ბატონობაში - ჯერ კიდევ ახსენებენ უკრაინელებს სახელმწიფოს საფრთხეს. სწორედ ამიტომ, ისინი ერიდებიან შოვინისტურ მიმდინარეობას და სოციალურ მისწრაფებებში მისი არევის ნაცვლად - განთავისუფლების საკუთარ გზას ეძებენ.

უკრაინელი რევოლუციონერები და განსაკუთრებით ლიბერტარიანელი კომუნისტები მრავალ საკითხზე უნდა დაფიქრდნენ, თუ უკრაინელ მშრომელებთან მდგრადი თანამშრომლობა სწადიათ.

თუმცაღა, მსგავსი თანამშრომლობა ვეღარ წარიმართება ისევე როგორც 1918-1920 წლებში, რამდენადაც რეალობა მკვეთრად შეიცვალა. მაშინ, უკრაინის მშრომელი მოსახლეობა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბურჟუაზიის დაქირავებული მებრძოლების - დენიკინის, პეტლიურასა და ვრანგელის უკუგდებაში, ვერც კი წარმოიდგენდა რომ რევოლუციის დასასრულს - ბოლშევიკების მიერ უღირსად მოტყუებული და ექსპლუატირებული აღმოჩნდებოდა.

მაშინ, ჩვენ ყველანი ცარისტული რეჟიმის აღდგენის წინააღმდეგ ვიბრძოდით და არ მოგვეპოვებოდა დრო ყველა იმ „უცხოს“ ზედმიწევნით შესამოწმებლად, რომელიც ბრძოლაში გვიერთდებოდა. რევოლუციის რწმენამ გადაფარა ფიქრები ამ „უცხოთა“ გულადობაზე ან შეკითხვაზე, რომელიც მათ მიმართ შეიძლებოდა გაგვჩენოდა - „მეგობრები თუ მტრები?“. ამ დროისთვის, მშრომელები კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ მიიწევდნენ და ყურადღებასაც მხოლოდ მათ აქცევდნენ, ვინც რევოლუციის დაცვის წინა ხაზზე მათან ერთად უშიშრად ხვდებოდა სიკვდილს.

მოგვიანებით, უკრაინელ მშრომელთა ფსიქოლოგია შესამჩნევად შეიცვალა : მათ აღმოაჩნდათ დრო „უცხოთა“ სრულებით შესასწავლად, რის შემდეგაც ბევრად უფრო კრიტიკულები გახდნენ რევოლუციის მონაპოვრის აღრიცხვაში, ან საბოლოოდ - იმის რაც მისგან დარჩა. ისინი სრულყოფილ მტრებად აღიქვამენ ამ „უცხოებს“, მიუხედავად იმისა

რომ მათ საკუთარი თავის უკრაინიზირება მოახერხეს და სოციალიზმის დროშასაც ამაყად აფრიალებენ, რადგან მშრომელები მათ მოქმედებებში ექსპლუატაციის გაღრმავებას ამჩნევენ. ისინი დარწმუნებულები არიან რომ სოციალისტების სწორედ ამ კასტამ, გაუმაძღარმა ექსპლუატატორებმა, წაართვეს მათ ყველანაირი რევოლუციური მონაპოვარი. მოკლედ, რამდენადაც მათ ეხებათ, ეს რაღაც ბოლშევიკური ხერხებით გადასხვაფერებული ავსტრო-გერმანული ოკუპაციის მსგავსია.

ეს შეფარული ოკუპაცია მასებს გარკვეული შოვინისტური პასუხის გაცემისკენ მიუთითებს. უკრაინული კატის თათის უკან დამალული, ბოლშევიკი ბატონები ტყუილ-უბრალოდ არ განაგებენ უკრაინას მოსკოვიდან - სწორედ უკრაინული მასებისგან მომავალი მზარდი ზიზღია, რამაც მათ ეს აიძულათ. უკრაინელ მშრომელებს კი მათი გადაგდებისკენ და ნამდვილად ახალი და ჭეშმარიტად თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ სწორედ ბოლშევიკური დესპოტიზმის ბუნება უბიძგებთ. ბოლშევიკებიც საკუთარ ძალაუფლებას არ ჯერდებიან და უკრაინულ რეალობასთან ადაპტაციას ყველანაირად ცდილობენ. 1923-ში ისინი დაკარგული ცხვრის მდგომარეობაში აღმოჩნდენ, რის შემდეგაც ტაქტიკა მნიშვნელოვნად შეცვალეს და უკრაინული რეალობის შეცნობისთვის დრო აღარ გაუფლანგავთ. ამავე დროს, ბოლშევიზმის ნაციონალიზმთან დაკავშირებაც აღარ გადაუდიათ და, სწორედ ამ მოტივით, სსრკ-ს კონსტიტუციას დაამატეს კონკრეტული მუხლები, რომლებითაც კავშირის ყველა ხალხს თვითგამორკვევის და თავისთავად - გამოყოფის სრული უფლება მიანიჭეს, რაც რა თქმა უნდა - უბრალო წარმოდგენაა. როგორ განვითარდება ბოლშევიკების ეს დამოკიდებულება?

ამას მომავალი გვიჩვენებს. ანარქისტთა მიდგომა უკრაინის მდგომარეობის მიმართ ამ ახალი ფაქტორების - ნაციონალისტური ბოლშევიზმის წარმომადგენელთა მიმართ უკრაინელ მშრომელთა ზიზღის - გათვალისწინებით უნდა ჩამოყალიბდეს. ჩვენ მივიჩნევთ, რომ მათი უდიდესი მიზანი, დღესდღეისობით, მასებისთვის იმის ახსნაა რომ ყველანაირი უბედურების სათავე არა ზოგიერთი „უცხო“ ავტორიტეტი, არამედ ყველანაირი ავტორიტეტია. უკანასკნელი წლების ისტორია მათ არგუმენტს საკმაოდ გაამყარებს, ვინაიდან უკრაინამ ყველანაირ ავტორიტეტთა ზეობა იხილა, და საბოლოოდ - არც ერთი მათგანი არ გამოირჩეოდა დანარჩენისგან. ჩვენ ცხადი უნდა გავხადოთ რომ „უცხო“ სახელმწიფოს ძალაუფლება და „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოს ძალაუფლება ზუსტად ერთიდაიგივე ღირებულებისაა მშრომელთათვის, რომლებიც საბოლოოდ ვერც ერთი მათგანისგან ვერაფერს იღებენ : მათ საკუთარი ყურადღება სრულებით სხვა მიზნებზე უნდა გადაიტანონ - კერძოდ სახელმწიფო აპარატის განადგურებაზე და მუშათა და გლეხთა სოციალ-ეკონომიკური თვითმმართველობის ორგანოებით მის ჩანაცვლებაზე.

ამისდა მიუხედავად, ეროვნული საკითხის განხილვისას, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ბოლოდროინდელი პროგრესი უკრაინაში. უკრაინული ყოველდღიურად გამოიყენება, და ნაციონალისტური ტრენდის შესაბამისად - ადგილობრივი ენის არ მცოდნე უცხოელებსაც იშვიათად უსმენენ. ეს ეთნიკური დეტალი არ უნდა დავივიწყოთ, რამდენადაც დღემდე ანარქისტებს უკრაინული გლეხობისგან ნაკლები ყურადღება ექცეოდათ, რადგანაც მათი უდიდესი კონცენტრაცია ქალაქებში იყო წარმოდგენილი და ამავე დროს - ისინი არ იყენებდნენ უკრაინული გლეხობის ენას.

უკრაინული ცხოვრება სავსეა ყველანაირი შესაძლებლობით, განსაკუთრებით მასათა რევოლუციური მოძრაობის პოტენციალით. ანარქისტებს კი აქვთ შანსი გავლენა მოახდინონ ამ მოძრაობაზე, მის მენტორებად ქცევით, მხოლოდ რეალობის მრავალფეროვნების და მშრომელთა მტრების წინააღმდეგ მიზანდასახული, პირდაპირი ომის წარმოების მნიშვნელობის დაფასების პირობით. ესაა მიზანი, რომელიც ვერ განხორციელდება ფართო და მძლავრი უკრაინული ანარქისტული ორგანიზაციის გარეშე. დროა უკრაინელი ანარქისტები ამ საკითხებზე სერიოზულად დაფიქრდნენ.

5. ყველა მხარის ებრაელს

[Дело Труда; ნო.23-24; აპრილი-მაისი 1927; გვ.8-10]

ებრაელო მოქალაქეებო! ჩემს პირველ მიმართვაში ებრაელების მიმართ, რომელიც ფრანგულ ლიბერტარიანულ გაზეთში - La Libertaire [ლიბერტარიანელი]-ში გამოქვეყნდა, მე კითხვა დავუსვი ბურჟუა და სოციალისტ ებრაელებს, და მათ შორის იანოვსკის მსგავს „ანარქისტებსაც“, რომლებიც ჩემზე, როგორც ებრაელების მოწინააღმდეგე პოგრომისტზე საუბრობენ და უკრაინელ გლეხთა და მშრომელთა განმანთავისუფლებელ მოძრაობას, რომლის ლიდერიც მე ვიყავი - ანტი-სემიტურობის იარლიყს აკერებენ, რომ ჩემთვის მოეწოდებინათ კონკრეტული ფაქტები უაზრო ლაქლაქის მაგივრად : კონკრეტულად სად და კონკრეტულად როდის განვახორციელეთ მე ან ხსენებულმა მოძრაობამ მსგავსი მოქმედებები?

ველოდი, რომ ზოგადად ებრაელები ჩემს მიმართვას უპასუხებდნენ როგორც ხალხი, რომელიც სამყაროსთვის ჭეშმარიტების წარდგენას ცდილობენ უკრაინაში ებრაელთა ხოცვა-ჟლეტვაში დამნაშავე შავგვარდიელების შესახებ, ან ეცდებოდნენ რომ საკუთარი სამარცხვინო ჭორები, ჩემსა და მახნოვისტური მოძრაობის შესახებ, რაიმე ავთენტურ მონაცემებზე მაინც დაეფუძნებინათ, რადგან ასე ცდილობენ მათ სახალხოდ გავრცელებას და მათში ჩემს ჩარევას.

ჯერჯერობით, არანაირი მსგავსი მტკიცებულება ებრაელებისგან არ მიმიღია. ერთადერთი რაც დღემდე გამოჩენილა პრესაში, მათ შორის ებრაულ ანარქისტულ ორგანოებში, ჩემსა და ამბოხებულთა მოძრაობის შესახებ - არის უსირცხვილო ტყუილების და კონკრეტული პოლიტიკური მაწანწალების და მათი მოჯამაგირეების ვულგარულობის პროდუქტი. მით უმეტეს, გასათვალისწინებელია რომ ებრაელი მშრომელებისგან შემდგარმა რევოლუციურმა საბრძოლო ნაწილებმა მოძრაობაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშეს. ცილისმწამებელთა სიმხდალე, რომელსაც მუდამ ვუარვყოფდი, ჩემზე არანაირ გავლენას არ ახდენს. ებრაელი მოქალაქეები ამაში დარწმუნებულები უნდა იყვნენ თუ გაითვალისწინებენ რომ ჩემგან არანაირი პასუხი არ მოჰყოლია ჟოზეფ კესელის ფარსს - სახელწოდებით „მახნო და მისი ებრაელობა“, ნოველას, რომელიც ჩემს და ჩემთან ორგანიზაციულად და თეორიულად დაკავშირებული მოძრაობის შესახებ დეზინფორმაციას ეფუძნება. ამ ფარსის ძირითადი ნაწილი ამოღებულია ბოლშევიკების ლაქიის - პოლკოვნიკი გერასიმენკოს ნაწერებიდან. ის ამჟამად მსჯავრდებულია ჩეხეთის სასამართლოს მიერ ბოლშევიკთა ჯაშუშობისთვის.

ნოველა ასევე დაფუძნებულია ბურჟუა ჟურნალისტის - ვიღაც არბატოვის სტატიებზე, რომელიც უსირცხვილოდ მომაწერს „მოთამაშე ჯუჯათა“ დასის წინააღმდეგ განხორციელებულ ყველანაირ სისასტიკეს, რაც რა თქმა უნდა, სრულ სიცრუეს წარმოადგენს.

ამ სიყალბით სავსე ნოველაში, კესელი ისე ოდიოზურად წარმომადგენს, რომ გერასიმენკოსგან და არბატოვისგან აღებულ მონაკვეთებში - წყაროები მაინც უნდა მიეთითებინა! რამდენადაც გაყალბება ნოველაში მთავარ როლს თამაშობდა და წყაროებიც არამდგრადი იყო - ჩემთვის დუმილი ერთადერთი არჩევანი აღმოჩნდა.

სხვანაირი დამოკიდებულება მაქვს ებრაული საზოგადოებებიდან წამოსული ცილისმწამებლების მიმართ, რომლებიც ცდილობენ საკუთარ თანამოძმეებს მოაჩვენონ თითქოს ზედმიწევნით შეისწავლეს უკრაინაში ებრაელი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი ამაზრზენი და უსამართლო დანაშაულები, რომელთა განმხორციელებელთა მხილებასაც სწორედ ეს საზოგადოებები ცდილობენ.

ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთმა ასეთმა საზოგადოებამ, რომლის შტაბიც, სხვათა შორის, ბოლშევიკების სამეფოშია, გამოსცა ფოტოებით ილუსტრირებული წიგნი უკრაინასა და ბელორუსიის ებრაეული მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე, „ამხანაგი“ ოსტროვსკის შეგროვებული მასალების საფუძველზე - რაც პირდაპირ მიუთითებს ბოლშევიკურ წარმომავლობაზე. ამ „ისტორიულ“ დოკუმენტში არსად არ არის ნახსენები კავკასიიდან უკრაინისკენ მომავალი სახელგანთქმული პირველი წითელი არმიის კავალერიის მიერ განხორციელებულ ანტი-ებრაულ პოგრომებზე, 1920 წლის მაისში. სამაგიეროდ, იგივე ნაშრომში ნახსენებია მახნოვისტების პოგრომები და ასევე მოცემულია მათი ფოტოებიც, რომლებზეც გამოსახული პიროვნებები - გაურკვეველია თუ საერთოდ რას აკეთებენ და მეორეს მხრივ, მახნოვისტებიც კი არ არიან. ერთ-ერთი ფოტო ცდილობს გვაჩვენოს “სიკვდილის თავიანი” შავი დროშით მოძრავი მახნოვისტები : ამ ფოტოს არანაირი კავშირი არ აქვს არც პოგრომებთან და ამავე დროს მახნოვისტებსაც არ გვიჩვენებს.

კიდევ უფრო დიდი მახნოვისტებისკენ მიმართული დეზინფორმაციაა წარმოდგენილი ალექსანდროვსკის ქუჩების ამსახველ სურათებზე, რომლებიც თითქოს მახნოვისტების მოწყობილმა პოგრომმა ააოხრა, 1919 წლის ზაფხულში. ეს მტკნარი სიცრუე მიუტევებელია ამ გამოცემაზე პასუხისმგებელი ებრაული საზოგადოებისთვის, რადგანაც საყოველთაოდ ცნობილია რომ ამ დროისთვის მახნოვისტური ამბოხებულთა არმია მოცემული რეგიონიდან შორს იყო - კერძოდ დასავლეთ უკრაინაში. სინამდვილეში - ალექსანდროვსკი 1919 წლის თებერვლიდან ივნისამდე ბოლშევიკური კონტროლის ქვეშ იყო, მას შემდეგ - შემოდგომამდე კი - დენიკინისტების მფლობელობაში იმყოფებოდა.

ამ დოკუმენტებით, ბოლშევიკებისკენ მიდრეკილმა ებრაულმა საზოგადოებამ დიდი უსიამოვნება შეგვიქმნა მეც და მახნოვისტურ მოძრაობასაც : ანტი-ებრაული პოგრომების დოკუმენტური მტკიცებულების - მათი დამფინანსებლების სასარგებლოდ - მოძიებაში წარუმატებლობის შემდეგ, მათ მიმართეს იმ საბუთების გაყალბებას, რომლებსაც რეალურად არც ჩემთან და არც ამბოხებულთა მოძრაობასთან არანაირი კავშირი არ ჰქონია. მათი არაპატიოსანი მიდგომა განსაკუთრებით ცხადი ხდება ფოტოს რეპროდუქციისას - „მახნო, ‘მშვიდობისმოყვარე’ მოქალაქე“, მაშინ როცა მასზე ჩემთვის სრულიად უცნობი პიროვნებაა აღბეჭდილი. ამ ყველაფრის საფუძველზე, ჩემს მოვალეობად ჩავთვალე მიმემართა საერთაშორისო ებრაული საზოგადოებისთვის კონკრეტული ბოლშევიკების მორჩილი ებრაული ასოციაციების ლაჩრობაზე და სიცრუეზე, ჩემთვის და ამბოხებულთა მოძრაობისთვის ანტი-ებრაულ პოგრომისტობაში ბრალის დადებისას, ხაზის გასასმელად. საერთაშორისო ებრაული აზრი უნდა ჩამოყალიბდეს ამ სამარცხვინო მტკიცებების შემადგენლობის ზედმიწევნით შესწავლის შემდეგ, ვინაიდან ამგვარი აბსურდის სახალხოს გავრცელება ნამდვილად არ წარმოადგენს უკრაინის ებრაული საზოგადოების რეალური გამოცდილების შესახებ ჭეშმარიტების საყოველთაოდ დადგენის საუკეთესო გზას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ეს სიცრუე ისტორიის გაყალბების გარდა არაფერს არ ემსახურება.

7. კრონშტადის აჯანყების სამახსოვროდ

[Дело Труда; ნო.10; მარტი 1926; გვ.3-4]

7 მარტი დიდი მწუხარების დღეა ე.წ. „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკათა კავშირის“ იმ მშრომელთათვის, რომლებმაც რამენაირად მაინც მიიღეს მონაწილეობა ამავე დღეს კრონშტადში განვითარებულ მოვლენებში. ამ დღის მოგონება იგივენაირად მტკივნეულია ყველა ქვეყნის მშრომელთათვის, ვინაიდან ის კიდევ ერთხელ გვახსენებს კრონშტადის თავისუფალ მუშათა და მეზღვაურთა მიერ, მათი წითელი ჯალათისთვის - „რუსეთის კომუნისტური პარტიისთვის“ და მისი იარაღისთვის - „საბჭოთა“ ხელისუფლებისთვის წამოყენებულ მოთხოვნებს.

კრონშტადმა ამ ავტორიტარი ჯალათებისგან მოითხოვა ყველაფრის უკან დაბრუნება, რაც ქალაქის და სოფლის მშრომელებს - რევოლუციის ჭეშმარიტ შემოქმედებს - ეკუთვნოდათ. კრონშტადელებმა ოქტომბრის რევოლუციის საფუძვლების პრაქტიკული განხორციელება მოითხოვეს :

თავისუფლად არჩეული საბჭოები, სიტყვის და პრესის თავისუფლება გლეხებისთვის, ანარქისტებისთვის და მემარცხენე სოციალ-რევოლუციონერებისთვის.

რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ ეს მისი მონოპოლისტური პოზიციისთვის წარმოუდგენელ გამოწვევად მიიჩნია, საკუთარი მხდალი ჯალათის სახის მშრომელთა მეგობრის და რევოლუციონერის ნიღბით დაფარვით, კრონშტადის თავისუფალი მეზღვაურები და მშრომელები კონტრ-რევოლუციონერებად გამოაცხადა და მათ წინააღმდეგ ათობით ათასი მორჩილი პოლიციელი და მონა გაგზავნა : ჩეკისტები, კურსანტები [წითელი არმიის ოფიცერი კადეტები - შენიშვნა ალექსანდრე სკირდასგან], პარტიის წევრები... ამ პატიოსანი მებრძოლების და რევოლუციონერების - კრონშტადელების - ამოსახოცად, რომლებსაც რევოლუციური მასების წინაშე თავის გამართლება არ სჭირდებოდათ - მათი ერთადერთი დანაშაული ბრაზის გრძნობა იყო რუსეთის კომუნისტური პარტიის ტყუილებისა და ლაჩრობის მიმართ, რომელიც უკვე თელავდა რევოლუციის და მშრომელთა უფლებებს.

1921 წლის 7 მარტს, 18:45-ზე, კრონშტადი არტილერიის ცეცხლში გაეხვა. ბუნებრივად და გარდაუვლად - კრონშტადმა დარტყმაზე დარტყმით უპასუხა. უპასუხა არა მარტო საკუთარი მოთხოვნების სახელით, არამედ მთელი ქვეყნის მშრომელებისთვის, რომლებიც ბოლშევიკი ავტორიტეტების მიერ დესპოტურად გადათელილ რევოლუციონერთა უფლებებისთვის იბრძოდნენ.

მათი წინააღმდეგობის გამოძახილმა მოიცვა მთელი დამონებული რუსეთი, რომელიც მზად იყო მათი სამართლიანი და გმირული ბრძოლის მხარდასაჭერად, თუმცა სწორედ მათი თავისუფალი სულის და ქვეყნის თავისუფალი ნების გასატეხად ჩამოყალიბებული ჩეკას და წითელი არმიის ნაწილების მიერ გამუდმებით ექსპლუატირებული და დამონებული - ამისთვის უძლური აღმოჩნდა.

ძნელია კრონშტადის დამცველთა და წითელი არმიის ბრმა მასის მიერ განცდილი დანაკარგების განსაზღვრა, მაგრამ დარწმუნებულები შეგვიძლია ვიყოთ რომ მათი რიცხვი 10,000-მდე მერყეობს. ძირითადად - ისინი წარმოადგენდნენ მუშებს და გლეხებს, სწორედ იმ ხალხს, რომელიც სიცრუეთა პარტიამ გამოიყენა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, ნათელი მომავლის დაპირებით. ის წლების განმავლობაში იყენებდა მათ საკუთარი პარტიული ინტერესებისთვის - ქვეყნის ეკონომიკურ და

პოლიტიკურ ცხოვრებაზე საკუთარი სრული ბატონობის გასავრცელებლად და გასამაგრებლად.

ბოლშევიკური ოლიგარქიის წინააღმდეგ, კრონშტადი რუსეთის რევოლუციაში მუშათა და გლეხთა ბრძოლას იცავდა. სწორედ ამიტომ მოიშორეს თავიდან ოლიგარქებმა კრონშტადელები, ზოგი სამხედრო გამარჯვებისთანავე, დანარჩენები კი ცარისტული და ბურჟუაზიული რეჟიმისგან მიღებულ საპყრობილეებში და ციხეებში. ამგვარად, 7 მარტი ყველა ქვეყნის მშრომელთათვის მძიმე ტკივილის დღეს უნდა წარმოადგენდეს. ამ დღეს, ბრძოლაში დაცემულ და ბოლშევიკურ ციხეებში გამოკეტილ გადარჩენილ კრონშტადელ რევოლუციონერთა მწარე ხსოვნამ მარტო რუს მშრომელებში არ უნდა გაიღვიძოს. თუმცა ეს საკითხი გლოვით ვერ გადაწყდება : 7 მარტის მოგონებასთან ერთად, ყველა მიწის მშრომელები უნდა ორგანიზდნენ და გააპროტესტონ რუსეთის კომუნისტური პარტიის მიერ კრონშტადში რევოლუციონერ მუშათა და მეზღვაურთა წინააღმდეგ ჩადენილი სისასტიკე, და მოითხოვონ ბოლშევიკურ ციხეებში და ფინეთის საკონცენტრაციო ბანაკებში გამომწყვდეული გადარჩენილების განთავისუფლება.

11. ბრძოლა სახელმწიფოს წინააღმდეგ

ფაქტია, რომ სახელმწიფო არის კარგად ორგანიზებული სტრუქტურა, რომელიც თვითნებურად, ხშირად ძალადობის გამოყენებით მართავს საზოგადოების უდიდეს ნაწილს. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, სახელმწიფო არის იარაღი, რომლის საშუალებითაც უმცირესობა მართავს უმრავლესობას. იმისთვის, რომ სახელმწიფომ შეინარჩუნოს ძალაუფლება, მართველი ელიტა იყენებს არა მხოლოდ იარაღს და ფულს, არამედ ახდენს ფსიქოლოგიურ ზეწოლას მოსახლეობაზე. ამ რეპრესიული აპარატის დახმარებით მართველი კლასი ყველანაირად ცდილობს, საზოგადოების ყურადღება გადაიტანოს მონური სისტემიდან სხვა, შედარებით მცირე დეტალებზე.

ცხადია, თუ ჩვენ გვსურს ვიბრძოლოთ ამ კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი სისტემის წინააღმდეგ, უნდა შევქმნათ ამ ამოცანის შესაბამისი სიძლიერის იარაღი.

ის მეთოდები, რომლებსაც მთავარი მტრების – სახელმწიფოს და კაპიტალის წინააღმდეგ – დღემდე იყენებდა რევოლუციონერთა კლასი, არ აღმოჩნდა საკმარისი გამარჯვებისთვის. ისტორიამ შემოგვინახა მომენტები, როდესაც ხალხმა შეძლო სახელმწიფოს დამარცხება, მაგრამ სამწუხაროდ, მათ ვერ შეძლეს ამ მონაპოვარის შენარჩუნება: სახელმწიფომ მაინც შეძლო ძალების მოკრება და კაპიტალისტთა გაერთიანება, რასაც ხალხზე გამარჯვება მოჰყვა.

რუსეთის რევოლუციამ გამოააშკარავა ჩვენი ნაკლოვანებები, რაც არ უნდა დავივიწყოთ. პირიქით, უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ მსგავსი შეცდომები აღარ დავუშვათ. ერთი მხრივ, რუსეთის რევოლუციის დროს სახელმწიფოს წინააღმდეგ შესანიშნავ წარმატებას მივაღწიეთ, მაგრამ მეორე მხრივ თითქმის არაფერი გაგვიკეთებია იმისთვის, რომ აგვეშენებინა პროლეტარიატთა თავისუფალი საზოგადოება, თავისი სოციალური სტრუქტურებით, რომლებიც სახელმწიფოს რეპრესიული მანქანის ზედამხედველობის გარეშე განვითარდებოდნენ.

იმ ფაქტმა , რომ ლიბერტარიანელმა კომუნისტებმა და ანარქო-სინდიკალისტებმა ვერ შევძელით რუსეთის რევოლუციის შედეგების წინასწარგანჭვრეტა და საზოგადოების აქტივობისთვის საჭირო მიმართულების მიცემა, რევოლუციურ ფრონტზე დაქსაქსულობა გამოიწვია.

თუ ჩვენ გვსურს, რომ მსგავსი შეცდომები მომავალში აღარ განმეორდეს და რევოლუციის დროს შევინარჩუნოთ ერთიანობა, ამისთვის უნდა შევძლოთ მთელი ჩვენი ძალების გაერთიანება, შემდეგ კი, ზედმეტი ხმაურის გარეშე ჩამოვაყალიბოთ ჩვენი ხედვა ეკონომიკური, სოციალური, ადგილობრივი და ტერიტორიული სტრუქტურების შესახებ, და შემდეგ ყოველ ჩამოყალიბებულ სტრუქტურას დავაკისროთ თავისი მისია სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი, ვინც ამ ბრძოლას შემოუერთდებიან, უნდა დაგვეთანხმონ ერთ რამეში – სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა გაგრძელდება იქამდე, სანამ ამ დანაშაულებრივ სისტემას ძირფესვიანად არ გავანადგურებთ. უნდა შევთანხმდეთ იმაზეც, რომ მთავარი ძალა ამ ბრძოლაში – რევოლუციური შეიარაღებული ძალებია. ასევე, აუცილებელია, რომ რევოლუციონერთა შეიარაღებულმა ძალებმა ითანამშრომლონ სოციალურ და ეკონომიკურ სტრუქტურებთან. ეს სტრუქტურები უნდა ჩამოყალიბდნენ რევოლუციის გარიჟრაჟზე, რათა საზოგადოება მიეჩვიოს თავისი ცხოვრების თვითორგანიზებულად წარმართვას, ყოველგვარი მაკონტროლებელი სტრუქტურის გარეშე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რევოლუციურმა არმიამ სახელმწიფოს ძალებისთვის წინააღმდეგობის გაწევის გარდა უბრალო მოსახლეობის რევოლუციაში ჩართვაზეც უნდა იზრუნოს, უნდა შეამზადოს საზოგადოება ახალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემისთვის.

12. პირველი მაისი: ახალი ეპოქის სიმბოლო მშრომელების ცხოვრებასა და ბრძოლაში

სოციალისტურ სამყაროში პირველ მაისს მშრომელთა დღესასწაულად მიიჩნევენ. ამ მნიშვნელოვანი დღის შესახებ ეს მცდარი წარმოდგენა არაერთი ქვეყნის მშრომელებს აქვთ და სწორედ ამიტომ ზეიმობენ პირველ მაისს. სინამდვილეში, პირველი მაისი სულაც არაა დღესასწაული. ამ დღეს მუშები არ უნდა დარჩნენ თავიანთ სამუშაო ადგილებზე, პირიქით, ისინი უნდა შეიკრიბონ ყოველ სოფელსა თუ ქალაქში და უნდა მოაწყონ მასობრივი საპროტესტო აქციები! პირველი მაისს არ უნდა ჰქონდეს ისეთი ფორმა, როგორიც აქვს სოციალისტურ სახელმწიფოებში (განსაკუთრებით საბჭოთა კავშირში). ამ დღეს პროლეტარიატმა უნდა აჩვენოს მთელი თავისი ძალა, რაც გამოიხატება მოძალადე, მონათმფლობელური, მატყუარა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლით. ამ ისტორიულ დღეს მშრომელთა კლასი ერთად უნდა დადგეს და გამოხატოს თავისი ნება და პოზიცია აწმყოსა და მომავაალთან დაკავშირებით.

1886 წლის პირველ მაისს, ჩიკაგოელი მუშები გაერთიანდნენ და მოაწყეს შეხვედრა, რომელზეც ისინი უსმენდნენ სოციალისტი და უფრო მეტად, ანარქისტი, ორატორების სიტყვებს. დიახ, ისინი ძირითადად ეთანხმებოდნენ ანარქისტულ და ლიბერტარულ მსოფლთმხედველობას. იმ დღეს, ამერიკელი მუშები შეეცადნენ ერთად გამოეხატათ თავიანთი პროტესტი სახელმწიფოს და კაპიტალის წინააღმდეგ. სწორედ ამაზე საუბრობდნენ ამერიკელი ლიბერტარიანელები – სპაისი, პარსონსი და სხვები. ამ გამოსვლას მოჰყვა სახელმწიფოს მიერ შეუიარაღებელი მუშების ამოჟლეტა, ორატორების დაკავება და დახოცვა.

ჩიკაგოელი მუშები იმისთვის არ შეკრებილან, რომ პირველი მაისი აღენიშნათ. ისინი გაერთიანდნენ, რათა ეპოვათ პრობლემების გადაჭრის გზა.

დღესაც, მიუხედავად იმისა, განთავისუფლდნენ თუ არა მუშები ბურჟუებისა თუ სოციალ–დემოკრატებისგან, მათ პირველი მაისი უნდა აღიქვან არა – დღესასწაულად, არამედ გაერთიანების, სოლიდარობის, მომავლის ერთად დაგეგმვის და ჩიკაგოელი წამებულებისთვის პატივის მიგების დღედ. სამწუხაროდ, „პროფესიონალი სოციალისტები“ პირველ მაისს ასე არ უყურებენ – მათთვის ეს დღე მშრომელთა საერთო ნადიმთან ასოცირდება.

პირველი მაისი მშრომელთა ცხოვრებაში ახალი ერის დაწყების სიმბოლოა. ეს არის ერა, რომელიც პროლეტარიატს სთავაზობს ბრძოლას ბურჟუების წინააღმდეგ, ბრძოლას საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებისთვის, ბრძოლას სოციალური იდეალებისთვის.

15. რევოლუციური დისციპლინის შესახებ

ჩემს ამხანაგებს მრავალჯერ უკითხავთ თუ როგორ აღვიქვავ რევოლუციურ დისციპლინას, ვეცდები ამ კითხვას პასუხი გავცე.

მე რევოლუციურ დისციპლინას ვუწოდებ პიროვნების შინაგან დისციპლინას, მკაცრად გაწერილი, თითოეულზე თანაბრად დაკისრებული კოლექტიური მოქმედების კონტექსტში. ეს უნდა წარმოადგენდეს ასეთი კოლექტივის წევრების მეთოდიკას, მათ პრაქტიკასა და მათ თეორიას შორის შესაბამისობის დასაცავად.

ორგანიზაციის შიგნით დისციპლინის არსებობის გარეშე, ქმედითი რევოლუციური მოქმედებების წარმოება შეუძლებელია. დისციპლინის არარსებობის პირობებში - რევოლუციური ავანგარდი[4] ვერ იარსებებს, საკუთარი მოუწესრიგებელი მოქმედებებით - იგი უძლური აღმოჩნდება სიტუაციის შესაბამისი მიზნების დასასახად და ინიციატორის როლის მოსარგებად, რასაც მასები მისგან მოელიან.

შეკითხვას დაკვირვების და რევოლუციური პრაქტიკის გამოცდილების ფონზე განვიხილავ. ამ შემთხვევაში, ჩემი მსჯელობის საფუძველი რუსეთის რევოლუციისას მიღებული გამოცდილებაა, რომელიც საკუთარი შინაარსით, მრავალ ასპექტში ლიბერტარიანული იყო.

ანარქისტები რომ ორგანიზაციულად მჭიდროდ დაკავშირებულები ყოფილიყვნენ და მკაფიოდ გამოკვეთილი დისციპლინით ემოქმედათ, ასეთ მარცხს არასდროს არ განიცდიდნენ. თუმცა, რადგანაც „ყველა ჯურის“ ანარქისტები არ წარმოადგენდნენ (საკუთარ სპეციფიკურ ჯგუფებშიც კი) ჰომოგენურ კოლექტივს ჩამოყალიბებული პოლიტიკური კურსით, მათ ვერ შეძლეს რევოლუციის გარემოებათა მიერ შექმნილი დაბრკოლებების გადალახვა.

არაორგანიზებულობამ ისინი პოლიტიკურ უძლურებამდე მიიყვანა და 2 კატეგორიად დაყო : პირველი იმათგან შედგებოდა, ვინც ხელი მიჰყო ბურჟუაზიის საკუთრების საცხოვრებლად დაკავებას. ასეთებს „ტურისტებს“ ვუწოდებ, ანარქისტებს, რომლებიც ქალაქიდან ქალაქში დაეხეტებოდნენ, დროებით საცხოვრებელი ადგილის მონახვის იმედით. დროის დაზოგვის გარეშე, ისინი ცდილობდნენ რაც შეიძლება დიდ ხანს ეცხოვრათ კომფორტულად და უდარდელად.

მეორე კატეგორიაში კი ისინი შედიოდნენ, ვისაც ანარქიზმთან ყველანაირი კავშირი გაეწყვიტა (თუმცა, რამდენიმე მათგანი სსრკ-ში თავს რევოლუციური ანარქიზმის ერთადერთ წარმომადგენლადდ ასაღებს) და ბოლშევიკების შემოთავაზებული თანამდებობა დაეკავებინა, მაშინაც კი როცა ხელისუფლება იმ ანარქისტებს ხვრეტდა, რომლებმაც ბოლშევიკების ღალატი გაკიცხეს და საკუთარი რევოლუციური იდეების ერთგულები დარჩნენ.

---

41 რა თქმა უნდა ეს ტერმინი არ გამოიყენება მის ლენინისტურ კონტექსტში, რაც ათასგვარ სპეკულაციას ხელს მაინც ვერ უშლის. ისევე როგორც ტერმინ „დისციპლინას“ მახნო ამ სიტყვას მხოლოდ უკეთესი შესატყვისის არარსებობის გამო იყენებდა. რეალურად იგულისხმება რევოლუციური მასების იდეოლოგიზირებული ნაწილი, რომლის როლიც პროპაგანდული საქმიანობის წარმოება და რევოლუციისთვის „იდეების მიწოდებაა“.

ამ ფაქტების გათვალისწინებით, ადვილად გასაგებია თუ რატომ არ შემიძლია უყურადღებოდ დავტოვო ჩვენს წრეებში გავრცელებული დაუდევრობა და გულცივობა.

ერთმხრივ, ეს ხელს უშლის გამართული ლიბერტარიანული კოლექტივის შექმნას, რომელიც საშუალებას მიცემდა ანარქისტებს რევოლუციაში კუთვნილი ადგილის დასაკავებლად, და, მეორე მხრივ, ამას მივყავართ მდგომარეობამდე, რომელშიც შეგვიძლია ლამაზი სიტყვებით დიად იდეებზე საუბარი, თუმცა მოქმედების დროის მოსვლისას - ვუჩინარდებით.

სწორედ ამიტომ ვსაუბრობ ძმური დისციპლინის პრინციპზე დაფუძნებულ ლიბერტარიანულ ორგანიზაციაზე. ასეთი ორგანიზაცია რევოლუციური ანარქიზმის ძალებს შორის მნიშვნელოვან გაგებას ჩამოაყალიბებდა და მიეხმარებოდა კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში შესაფერისი ადგილის მოპოვებაში.

ამ სახით, ლიბერტარიანულ იდეებს მასიურ მხარდაჭერის მოიპოვებაში ხელს ვერაფერი შეუშლის. მხოლოდ ცარიელ, უპასუხისმგებლო ყბედებს შეუძლიათ ასეთი ორგანიზაციის უარყოფა.

ორგანიზაციული პასუხისმგებლობა და დისციპლინა საკამათო საკითხებს არ უნდა წარმოადგენდნენ : ისინი სოციალური ანარქიზმის პრაქტიკის მუდმივი თანამგზავრები არიან.